საბანკო სექტორი - იანვარი-თებერვალი, 2017

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

Delivering Progress

გამოცემა #92 / 24.04.2017

2017 წლის თებერვლის მდგომარეობით, 2016 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით:

• დეპოზიტების მოცულობა გაზრდილია 7.4%-ით;
• ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების მოცულობა გაზრდილია 15.4%-ით;
• მნიშვნელოვნადაა გაზრდილი მშენებლობაზე სესხების წილი მთლიან სესხებში (2.2 პროცენტული პუნქტი), ხოლო როცა ვაჭრობის წილი მთლიან სესხებში შემცირებულია (-2.9 პროცენტული პუნქტი);
• შემცირებულია უძოქმედო სესხების წილი მთლიან სესხებში (-0.6 პროცენტული პუნქტი).



ეროვნული და უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების მოცულობა (ბანკთაშორისი დეპოზიტების გარეშე), 2014-17 იან-თებ



დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი, 2014-17 იან-თებ

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2017 წლის თებერვლის მდგომარეობით, 2016 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, გაზრდილია კომერციული ბანკების დეპოზიტების მოცულობა (7.4%)*. მნიშველოვნადაა გაზრდილი ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების მოცულობა (17.2%), მაშინ როცა უცხოური ვალუტით დეპოზიტები გაზრდილია მხოლოდ 3.7%-ით.

ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი დიდი მერყეობით ხასიათდება, უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთთან შედარებით. 2017 წლის თებერვლის მდგომარეობით, ეროვნული და უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა შემცირებულია (-1.2 პროცენტული პუნქტი) და 5.8 პროცენტულ პუნქტს შეადგენს. ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი, საშუალოდ, 8.8%-ს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხების საპროცენტო განაკვეთი კი 3.0%-ს შეადგენს.



ეროვნული და უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხების მოცულობა (ბანკთაშორისი სესხების გარეშე), 2014-17 იან-თებ



სესხის საპროცენტო განაკვეთი, 2014-17 იან-თებ

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2017 წლის თებერვლის მდგომარეობით, 2016 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, კომერციული ბანკების სესხების მოცულობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი (15.4%)*. ეს მეტწილად გამოწვეულია ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მნიშვნელოვანი ზრდით (23.2%). უცხოური ვალუტით გაცემული სესხები 6.5%-ით არის გაზრდილი.

ეროვნული ვალუტით დენომინირებული სესხების საპროცენტო განაკვეთი დიდი მერყეობით ხასიათდება უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხების საპროცენტო განაკვეთთან შედარებით. 2017 წლის თებერვლის მდგომარეობით, ეროვნული და უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხების საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა შემცირებულია (0.8 პროცენტული პუნქტი) და 12.4 პროცენტულ პუნქტს შეადგენს. ეროვნული ვალუტით დენომინირებული სესხების საპროცენტო განაკვეთი, საშუალოდ, 20.9%-ს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხების საპროცენტო განაკვეთი კი 8.5%-ს შეადგენს.

---

* უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხებისა და დეპოზიტების შემთხვევაში მოხდა კორექტირება გაცვლითი კურსის გათვალისწინებით (საბაზისო წელი - წინა წლის შესაბამისი პერიოდი).





ხყაოო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2017 წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების სტრუქტურა მნიშვნელოვნადაა შეცვლილი, 2016 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. შემცირებულია ვაჭრობისა (-2.9 პროცენტული პუქტი) და მრეწველობის (-1.7 პროცენტული პუნქტი) წილი მთლიან სესხებში, ხოლო გაზრდილია მშენებლობის (2.2 პროცენტული პუქტი), ჯანდაცვისა (0.9 პროცენტული პუნქტი) და სასტუმროებისა და რესტორნების (0.8 პროცენტული პუნქტით) წილი მთლიან სესხებში.

2017 წლის თებერვლის მდგომარეობით, უმოქმედო სესხების მოცულობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (5.8%, 73 მლნ. ლარი), თუმცა, უმოქმედო სესხების წილი მთლიან სესხებში შემცირებულია (-0.6 პროცენტული პუნქტით) და 7.4%-ს შეადგენს, რაც, მეტწილად, ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებით აიხსნება. აღნიშნულ პერიოდში სპეციალური რეზერვები ფარავს უმოქმედო სესხების 48%-ს.

ეროვნული და უცხოური ვალუტით გაცემული სესხების რაოდენობა მოცულობების მიხედვით						
	ეროვნული ვალუტით			უცხოური ვალუტით (დოლარი)		
	2016 (იან-თებ)	2017 (იან-თებ)	ცვლილება	2016 (იან-თებ)	2017 (იან-თებ)	ცვლილება
1,000-მდე	1,955,687	1,638,944	-316,743	27,152	32,857	5,705
1,000 - 5,000	181,579	228,921	47,342	4,267	1,958	-2,309
5,000 - 25,000	29,205	41,006	11,801	3,787	1,528	-2,259
25,000 - 100,000	2,032	6,501	4,469	2,073	1,979	-94
100,000 - 1,000,000	497	848	351	634	637	3
1,000,000 და მეტი	115	148	33	60	83	23

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2017 წლის იანვარ-თებერვალში 1,000 ლარამდე გაცემული სესხების რაოდენობა მნიშვნელოვნად არის შემცირებული (-316,743 ერთეული), მაშინ როდესაც უცხოური ვალუტით გაცემული იმავე მოცულობის სესხების რაოდენობა გაზრდილია 5,705 ერთეულით. ამის საპირისპიროდ, 1,000-100,000-ლარამდე გაცემული სესხების რაოდენობა ჯამში გაზრდილია 63,612 ერთეულით, ხოლო იმავე მოცულობის უცხოური ვალუტით გაცემული სესხების რაოდენობა შემცირებულია 4,662 ერთეულით. აღნიშნული შემცირება მეტწილად გალარების სახელმწიფო პროგრამით შეიძლება აიხსნას.

100,000 და მეტი მოცულობის სესხების შემთხვევაში, ზრდა ფიქსირდება როგორც ეროვნული ვალუტით, ასევე უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებში, თუმცა ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების რაოდენობა მნიშვნელოვნად (15-ჯერ) აღემატება უცხოური ვალუტით გაცემული სესხების რაოდენობას.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	II 2015	III 2015	IV 2015	2015	I 2016	II 2016*	III 2016*	IV 2016*	2016*
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	3407.6	3545.0	6682.3	13988.1	3018.8	3642.6	3767.3	3784.5	14332.8
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	913.4	950.5	994.7	3766.6	811.4	979.1	1012.6	1017.2	3852.5
მშპ-ს რეალური ზრდა	2.5%	2.5%	2.9%	2.9%	2.6%	3.0%	2.3%	2.8%	2.7%
ინფლაცია				4.0%					2.1%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	354.7	489.0	267.9	1564.5	388.6	445.3	463.3	330.3	1645.4
უმუშევრობის დონე				12%					
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	4181	4195	4315	4315	4396	4404	4461	4515	4515
სიღარიბის დონე (ფარდობითი)				20.1%					

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საპროგნოზო*